აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი №2

აბაშა, 2023 წლის 2 აგვისტო

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა

(ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გ. მიგინეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: იაგო თოდუა, კახა ცანავა, პროკოფი ნიკურაძე, კოკი ჩაჩავა, დიტო ვერულაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: კოხტა მელია, ბაქარ შელია, გენო მიმინოშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის სამიქაოსა და სუჯუნის ადმინისტრაციულ ერთეულებში სახელწოდების არმქონე ობიექტების (ქუჩა, შესახვევი, ჩიხი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.

მომხს: გ. მიგინეიშვილი

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

ადმინისტრაციული წარმოების დასახელება:

აბაშის მუნიციპალიტეტის სამიქაოსა და სუჯუნის ადმინისტრაციულ ერთეულებში სახელწოდების არმქონე ობიექტების (ქუჩა, შესახვევი, ჩიხი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ განკარგულების პროექტის განხილვა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარე გ. მიგინეიშვილმა განმარტა, რომ კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვა: კ. ჩაჩავამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) აბაშის მუნიციპალიტეტის აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიამ

დაადგინა:

განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის სამიქაოსა და სუჯუნის ადმინისტრაციულ ერთეულებში სახელწოდების არმქონე ობიექტების (ქუჩა, შესახვევი, ჩიხი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 2 აგვისტოს 12:30 საათზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე: გ. მიგინეიშვილი